საქართველოს სსრ ცენტრალური ბიბლიოთეკა

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა ხევსური


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 11 (148)

ივნისი

1966 წელი



კურორტი ზოვი, მდინარე ჰანჭახის ხეობა.

ქართული ჩაის შემქმნელი

სრულიად საკავშირო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის განყოფილების გამგემ, ცნობილმა ქართველმა სელექციონერმა მეცნიერმა ქსენია ბახტაძემ თავისი 40 წლის მეცნიერულ-კვლევითი საქმიანობის მანძილზე უარყო აზრი, თითქოს ადამიანს ჩაის ბუჩქზე ზემოქმედება არ შეეძლოს. მან გამოიყვანა ქართული სელექციური ჩაის 19 ჯიში. მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სპეციალისტმა მაღალი შეფასება მისცა ქართული ჩაის თვისებებს. ქართული ჩაი გამოირჩევა იმით, რომ მას აქვს მსხვილი ფოთოლი, დიდი რაოდენობით შეიცავს ტანინსა და მაქსტრაჰირებელ ნივთიერებებს, აგრეთვე უნარი აქვს შეეგუოს სხვადასხვა ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს.

— ჩაი თბილი ქვეყნის მკვიდრია, ნაზი მცენარეა, — ამბობს ქსენია ბახტაძე. — ვცდილობდი მომეღწია იმისათვის, რომ საქართველოსა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონის პირობებში მას ისე ეგრძნო თავი, „როგორც შინ“.


ქსენია ბახტაძემ წარმატებით დაძლია ეს ამოცანა. პირველად ისტორიაში ქართული სელექციური ჩაის ბუჩქი გამოჩნდა მთისძირა რაიონებში. ერთ-ერთი ჯიში, რომელსაც „ზამთრის გმირი“ უწოდეს, თოვლის ქვეშ მინუს 25 გრადუსს უძლებს...

დიდი ხანია მეგობრობენ ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სამინისტროსთან არსებულ ფუტხოს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საცდელი სადგურის თანამშრომლები.

რამდენიმე წლის წინათ ანასეულში მიიღეს საცდელი სადგურის მეცნიერი მუშაკის დო ნგოკის წერილი. ვიეტნამელი მეცნიერი იტყობინებოდა, რომ საცდელ სადგურს, სადაც ის მუშაობს, არა აქვს ჩაის კულტურის გაშენების გამოცდილება. ვიეტნამელმა მეგობრებმა თხოვნით მიმართეს ქართველ მეცნიერებს. დახმარებოდნენ სასელექციო სანერგის შექმნაში. მაშინვე აკადემიკოსმა ქ. ბახტაძემ ვიეტნამელ მეგობრებს გაუგზავნა თავისი სამეცნიერო შრომები, რომლებშიც გაშუქებულია ჩაის სელექციური ჯიშების გამოყვანისა და ჩაის მცენარის ბიოლოგიის საკითხები. ვიეტნამელებს გაეგზავნათ ქართული ჩაის სასელექციო ჯიშების თესლიც.

ახლა ქ. ე. ბახტაძე ვიეტნამიდან ხშირად იღებს წერილებს, ფოტოსურათებს, ჩაის ბუჩქის ჰერბარიუმებს, რომელთა მიხედვით ეცნობა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩაის კულტურის თესვა-მოყვანას. მნიშვნელოვან რჩევა-დარიგებას აძლევენ ვიეტნამელ მეგობრებს სხვა ქართველი მეცნიერებიც.

ქსენია ერმილეს ასული ბახტაძე ჩაის ბიოლოგიის, სელექციისა და მეთესლეობის ფუძემდებელია საბჭოთა კავშირში, 70 მეცნიერული ნაშრომის ავტორია. ეს ნაშრომები თარგმნილია ბევრ უცხო ენაზე. იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია. საბჭოთა მეცნიერებაში დიდი წვლილისათვის მას მინიჭებული აქვს სახელმწიფო პრემია. აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე არჩეულია საზოგადოება „საბჭოთა კავშირ-ცეილონის“ მეგობრობის ვიცე-პრეზიდენტად.



დღეს საქართველოს ჯამბეჯი

მრავალპროფილიანი საავადმყოფოები სოფლად

სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას. დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მრავალპროფილიანი დიდი საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ქსელის გაფართოებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალიზებულ სამედიცინო დახმარებას.

— ჯერ კიდევ სამი წლის წინათ რესპუბლიკის სასოფლო რაიონებში დაიწყო ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნა, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს უფროსმა გ. გ. თვალთვაძემ. — დავადგინეთ რაიონული საავადმყოფოების გამსხვილებისა და სპეციალიზაციის კურსს. ამ ხნის მანძილზე მწყობრში ჩადგა 100 და მეტ საწოლიანი 12 რაიონული ცენტრალური საავადმყოფო. დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა შეეჭმნათ პერიფერიაში 200-300 საწოლიანი კარგად აღჭურვილი საავადმყოფოები.

ბორჯომის, ტყიბულის, გაგრის, ქობულეთის, წყალტუბოს რაიონული საავადმყოფოები საჭალაქო საავადმყოფოებად გადავაკეთეთ. აქ შექმნილია სამრეწველო პროფილის 10 დამოუკიდებელი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური. საერთოდ კი ასეთი სადგურები მოეწყო ყველა რაიონულ ცენტრში, სადაც არის ცენტრალური საავადმყოფოები.

კარგად არის მოწყობილი სპეციალიზებული დახმარება წითელწყაროს, ყვარლის, ლაგოდეხის, წყალტუბოს, გორისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების დიდ საავადმყოფოებში. ადგილობრივი საბჭოების სახსრებით აშენდა და შენდება რაიონულ საავადმყოფოთა 100-საწოლიანი კორპუსები თელავის, წითელწყაროსა და ზუგდიდის რაიონებში, კოლმეურნეობათა სახსრებით ტუბერკულოზის საავადმყოფო აშენდა მახარაძეში.

მარტო 1964-1965 წლებში სოფლად სამუშაოდ გაემგზავრა ოთხასამდე ექიმი. 300 სპეციალისტი შეემატა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურებისა და პუნქტების შტატს.

გამსხვილებულ რაიონულ საავადმყოფოებში იქმნება სპეციალიზებული საბავშვო, სამეანო-გინეკოლოგიური, თვალის, ონკოლოგიური, უროლოგიური, ტრავმატოლოგიური განყოფილებანი. გაფართოვდა აგრეთვე სასოფლო-სამკურნალო ამბულატორიათა და დისპანსერთა ქსელი.

◆

ევკალიპტი ჩვენი მეგობარია

სოხუმი. ავსტრალიის მკვიდრი — ევკალიპტი მშვენივრად შეეგუა თავის მეორე სამშობლოს — მზიურ აფხაზეთს. ეს ლამაზი ხე ადამიანის ნამდვილი მეგობარი გახდა. ევკალიპტი აშრობს ჭაობიან მიწებს, ჩამორეცხვისაგან იცავს მთის ქანებს, მისი ხშირი ვარჯი ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან იცავს მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის ბაღებს. სხვადასხვა სახის ევკალიპტის ფოთლიდან ამზადებენ ძვირფას ეთეროვან ზეთებს, რომლებსაც საპარფიუმერიო მრეწველობაში და მედიცინაში იყენებენ.

აფხაზეთის სუბტროპიკულ მეურნეობებში დიდი ყურადღება ეთმობა ამ ძვირფასი მცენარის ნარგავების გადიდებას. სოხუმის სუბტროპიკული კულტურების საცდელი სადგურის მეცნიერ მუშაკებს გამოჰყავთ ევკალიპტის ახალი, უფრო ყინვაგამძლე ჰიბრიდული ჯიშები.

ეგზავნება 22 ქვეყანას

ზესტაფონი. 22 ქვეყანა ყიდულობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქციას. ინგლისი, ბელგია, ჩეხოსლოვაკია, ჰოლანდია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, უნგრეთი, ამერიკის შეერთებული შტატები — აი არასრული სია იმ ქვეყნებისა, რომლებსაც წელს გაეგზავნება ქართული ფეროშენადნობები.

ქარხანაში მიღებული შენადნობები შეესაბამება საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეს. მათ ამზადებენ ჭიათურის საბადოს მანგანუმის მადნებისაგან. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზესტაფონელმა მეტალურგებმა აითვისეს სილიკომანგანუმის წარმოება დაბალმაგნიუმიანი მადნებიდანაც.

წელს საწარმოში საექსპლოატაციოდ გადასცეს ახალი დახურული ელექტროღუმელები, რომლებიც უფრო მწარმოებლურია, ვიდრე ძველი ღუმელები. ხუთწლედის დამლევს ქარხნის მთლიანი პროდუქციის გამოშვება თითქმის 45 პროცენტით გაიზრდება.

ეს ორი სურათი ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტმა ბათუმში გადაიღო. მარცხნივ აღბეჭდილია ნავსადგურის ერთ-ერთი კუთხე, მარჯვნივ — სანაპირო პარკის შესასვლელი.



აზერბაიჯანში უყვართ რუსთაველი

ბაქო. გასცდებით თუ არა ბაქოს რკინიგზის სადგურს, მარცხნივ, მოშორიაღე ბაღში ბრინჯაოს მაღალ მონუმენტს დაინახავთ. მარადმწვანე ხეების რკალში ჩამჯდარი ძეგლის უკანა მხრიდან გადმოჩქეფს ნიკო ნიკოლაძის რჩევით შოლარიდან გამოყვანილი ბროლის წყალი და ისითქოსდა ეალერსება აზერბაიჯანელი ხალხის საყვარელი პოეტის სამედ ვურღუნის ძეგლს.

მაგრამ ბაქოში ჩასულმა ყველა ქართველმა როდი იცის, რა უსაზღვროდ უყვარდა სამედ ვურღუნს საქართველო, შოთა რუსთაველი. მან ერთმა პირველთაგანმა აამეტყველა მშობლიურ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“. მასთან ერთად თარგმანზე მუშაობდნენ სულეიმან რუსტამი და მამედ რაჰიმი. ვინ იცის, რამდენი ღამე თეთრად გაათენეს, ვიდრე დიდი ქართველის ხელიხელაგდაგმანებელი ქმნილება მკითხველს მიაწოდეს.

როგორი გამოხმაურება პოვა „ვეფხისტყაოსანმა“ აზერბაიჯანელ მკითხველში?

— უკვდავი პოემის პირველი გამოცემის შედეგებმა, — მოუთხრეს გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს სულეიმან რუსტამმა და მამედ რაჰიმმა, — ცხადყვეს, რომ აზერბაიჯანელმა მკითხველმა „ვეფხისტყაოსანი“ უაღრესად გულთბილად მიიღო. იგი ჩვენი თვისტომის სამაგიდო წიგნად გადაიქცა. ამას ადასტურებს წერილები, რომლებიც მოგვდის ნავთობის ქვებიდან და ევლახიდან, ზაქათალიდან და თბილისიდან, აფშერონიდან და ბოლნისიდან. მათი ავტორები გულწრფელ მადლობას გვიძღვნიან „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის გამო და სურვილს გამოთქვამენ, რომ პოემა უფრო მეტი ტირაჟით გამოიცეს.

ბევრმა აზერბაიჯანელმა მშრომელმა პოემის გმირთა სახელები დაარქვა თავის შვილებს.

რუსთაველს მრავალი ნაწარმოები მიუძღვნეს აზერბაიჯანელმა პოეტებმა. ლირიზმითა და სითბოთი გამოირჩევა თ. ეიუბოვის ლექსი. რუსთაველისადმი მიძღვნილმა ძარღვიანმა ლექსმა დაამშვენა აგრეთვე მამედ რაჰიმის წიგნი. იგი მოეწონა აზერბაიჯანული მუსიკის კლასიკოსს უზეირ ჰაჯიბეკოვს და პოეტურ სტრიქონებს მუსიკალური ჰანგები დაუძმობილა. შეიქმნა საგუნდო ნაწარმოები „შოთა რუსთაველი“. ბაქოელ მუსიკათმცოდნე ხ. აგაევას იგი დიდი კომპოზიტორის საუკეთესო ნაწარმოებთა ნუსხაში ეგულება. ამ ნაწარმოებს აჟღერებენ რუსთაველის 800 წლისთავის საზეიმო დღეებში.



სახალხო პოეტმა სულეიმან რუსტამმა გაგვაცნო თავგადასავალი „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ეგზემპლარისა, რომელსაც იგი ავარაკ შუვალანში ინახავს. ზაფხულის ცხელ დღეებს მგოსანი ამ სოფელში ატარებს ხოლმე. აქ განსაკუთრებით ბევრი მკითხველი ჰყავს „ვეფხისტყაოსანს“. წიგნი ხელიდან ხელში გადადის. იცრიცება, ცვთება ფურცლები. „ბედნიერ ეგზემპლარს“ შეშველება ესაჭიროება — ხუმრობენ მთარგმნელები და მალე გამოვა პოემის განახლებული თარგმანი დიდი ტირაჟით.

— აზერბაიჯანელი ხალხი ემზადება საერთო სახალხო დღესასწაულისათვის, რუსთაველის წელიწადის ღირსეულად ჩატარებისათვის, — განაცხადა საუბარში რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, მწერალმა **მირზა იბრაჰიმოვმა.** გამოვა დიდი პოეტისადმი მიძღვნილი სტატიების კრებული, მოეწყობა სამეცნიერო სესიები. ამით სიყვარულსა და ძმობის მომღერალს დიდ რუსთაველს კიდევ ათასობით ახალი აზერბაიჯანელი თაყვანისმცემელი გაუჩნდება.

საქართველო ემზადება

თელავი. რაიონში მასობრივად ეწყობა ლექციები და საუბრები რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით. ქალაქ თელავში დიდი ინტერესით მოისმინეს პროფესორ ს. ყაუხჩიშვილის ლექცია „ქართული კულტურის ძეგლები შოთა რუსთაველის ეპოქაში“.

ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტებმა ა. გვენცაძემ, ლ. დეისაძემ, კ. ჩიკვაიძემ, ლ. სპარსიაშვილმა და სხვებმა რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით წაიკითხეს ლექციები თემებზე: „შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, „მეგობრობის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ვითარება შოთა რუსთაველის ეპოქაში“, „შოთა რუსთაველი ქართულ ხალხურ ფოლკლორში“.

* * *


წყალტუბო. რაიონში ფართოდ ემზადებიან შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის. კულტურის სახლსა და რაიონულ ბიბლიოთეკაში მოწყობილია რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენა-სტენდი, იმართება ლექცია-მოხსენებები „ვეფხისტყაოსნის“ და მისი ავტორის შესახებ.

ამ თარიღთან დაკავშირებით ჭუთაისიდან კურორტში შესასვლელ მთავარ ჭუჩას შ. რუსთაველის სახელი ეწოდა. საბაზანოების გვერდით ათეულ ჰექტარზე დაიწყო კულტურისა და დასვენების პარკის გაშენება, რომელსაც აგრეთვე რუსთაველის სახელი მიეკუთვნება.

* * *

მიმდინარე წლის ივნისიდან ამოქმედდა ახალი სრულიად საკავშირო ტურისტული მარშრუტი „რუსთაველის კვალდაკვალ“, რომელიც საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკურმა საბჭომ შეიმუშავა.

უცხოეთიდან და მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული ტურისტები დაათვალიერებენ შოთა რუსთაველის სახელთან დაკავშირებულ ადგილებს, თბილისს, იყალთოს, ჭუთაისს, გელათს, რუსთავს, თმოგვს, ვარძიასა და სხვ. ისინი ეწვევიან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, ხელოვნების მუზეუმს, თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, თელავის, რუსთავის, ბორჯომის, ვარძიის, ჭუთაისის, ბათუმისა და სოხუმის ეთნოგრაფიულ მუზეუმებს.



ოსურ ენაზე

სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრიობა ემზადება გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის. აქ შექმნილია იუბილეს მომწყობი კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედიან ოქრის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი მუშაკები, მხატვრები, მწერლები, პედაგოგები. გაიმართა კომისიის სხდომა. კვაისის მაღაროთსამმართველოს, ერედვის, თამარაშენის საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებისათვის საზოგადოება „ცოდნის“ სამხრეთ ოსეთის განყოფილების ლექტორთა ძალებით რამდენიმე ლექცია მოეწყო შ. რუსთაველის ცხოვრებისა და ეპოქის შესახებ. პოეტისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია გაიმართება ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ხოლო სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნება სპეციალური საიუბილეო გამოფენა. მწერალი გ. ბესტაევი შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ ოსურ ენაზე თარგმნას.

ეს საინტერესოა

ხმაურის ნაცვლად მუსიკა

ხმაური წარმოების ნამდვილი მტერია. დიდი ხანია, რაც მედიკებმა დაამტკიცეს, რომ ხმაური ამცირებს შრომის ეფექტურობას.

ხმაურის საწინააღმდეგო ორიგინალური აპარატი შექმნა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ლაბორანტმა ზაურ ხეთაგურმა. აპარატის საშუალებით ხმაური, რომელიც წარმოიშობა ორთქლის ჩაქუჩის ჩარხების მუშაობის დროს, მუსიკად გარდაიქმნება.

ოსტატის სამუშაო ადგილას იდგმება გადამწოდი, იგი სადენით არის შეერთებული ხელსაწყოსთან, რომელიც ბგერის გენერატორთა საშუალებით ხმაურს მუსიკალურ ტონად გარდაქმნის.

ამრიგად ყურსაცავამში, რომელიც მუშას აქვს გაკეთებული, სულ მუსიკა ისმის. მოსახერხებელია, რომ მუსიკა შეიძლება ნებისმიერად ააწყო. ამასთან მნიშვნელოვნად აადვილებს შრომას, ყურსაცავამი კი მუშას სულ არ უშლის ხელს.

ზ. ხეთაგურის კონსტრუქციის ხმაურის საწინააღმდეგო ხელსაწყო, ნათქვამია თბილისის შრომის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ვიბრაციისა და ხმაურის ლაბორატორიის მთავარი ინჟინრის ი. კოჩინაშვილის დახასიათებაში, მეტად საინტერესო და საყურადღებოა, როგორც პრინციპული გადაწყვეტა საკითხისა, თუ როგორ დავიცვათ მუშის სმენა ძლიერი და მავნე ხმაურის წარმომშობი სამუშაოების დროს.

„სამუდამო“ კალაპოტი

ფეხსაცმლის მრეწველობა ყოველდღიურად ხარჯავს დიდძალ მერქანს ფეხსაცმლის კალაპოტის დასამზადებლად. მარტო ერთი თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“ წელიწადში 50 ათას წყვილზე მეტს იყენებს.

ამ საწარმოს ინჟინრებმა მ. ჩხეიძემ, უ. სათირიშვილმა და სხვებმა მიზნად დაისახეს შეიცვალათ ხის კალაპოტები. ექსპლუატაციები მთელი დღე საქსპრიმენტო ლაბორატორიაში ისხდნენ, მიდიოდნენ პლასტმასის ქარხანაში, დეტალურად სწავლობდნენ პლასტიკური მასების სხვადასხვა თვისებას. ბოლოს პოლიეთილენზე შეჩერდნენ.

პოლიეთილენის კალაპოტების პირველი პარტია უვარგისი გამოდგა. მაგრამ ამან გული არ გაუტეხა ნოვატორებს. მათ გადაწყვიტეს შეექმნათ პოლიეთილენისაგან კალაპოტების ჩამოსასხმელი საკუთარი საამქრო.

და აი გამოჩნდა პოლიეთილენის კალაპოტი შესაფერი ნაკეთობაში. შეიქმნა ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბება. ფეხსაცმელი თორო ლამაზი, შნოიანია. კალაპოტის სამსახურის ვადა კი ერთანახევრად გადიდდა. მაგრამ რაც მთავარია, პოლიეთილენის კალაპოტის უპირატესობა მირჩნის კალაპოტთან შედარებით ის არის, რომ მწყობრიდან გამოსული კალაპოტის ხელმეორედ გადადნობა და ჩამოსხმა შეიძლება.

პოლიეთილენის კალაპოტი უკვე დაინერგა თაბრიკა „ისანში“. თბილისელმა მეფეხსაცმლეებმა თავიანთი გამოგონებისათვის საავტორო მოწმობა მიიღეს. გამოგონების წარმოებაში დანერგვისათვის ჩართული ინჟინრები მიწვეული არიან ლენინგრადის, კიევისა და არმავირის ფეხსაცმლის ფაბრიკებში.

დიდი



ექ. თაყაიშვილი.

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, 1951 წლის 6 ნოემბრის დილას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში სამუშაოზე გამოცხადებისთანავე, განყოფილების გამგემ, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა კოტე გრიგოლიამ მითხრა: „ექვთიმე თაყაიშვილმა მთხოვა შენი წიგნები — „დიმიტრი ყიფიანის არქივი“ და „ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები“ მივუტანო. თუ გაქვს, მოიტანე, მე მივდივარ მასთან სახლში სანახავად, შენც წამოდი და შენი წიგნები შენ თვითონ მიართვი ექვთიმეს, ესიამოვნებაო“.

მე მაშინვე ვიშოვნე ორივე წიგნი და კოტე გრიგოლიას გავყევი ექვთიმეს სანახავად. ბინაზე მისვლისას კოტე გრიგოლიამ წარმადგინა ექვთიმესთან და უთხრა: ეს ყმაწვილი ჩვენი მეცნიერი თანამშრომელია, რომელსაც თქვენი ნახვა და თქვენთან საუბარი უნდა, თავისი წიგნებიც მოგართვათო.

ექვთიმე სიხარულით შეგვხვდა. გაიმართა საუბარი. მან მითხრა: „რა კარგი საქმე გაგიკეთებია! დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე ჩვენი სათაყვანონი არიან...“

მე მაშინ ირ. ევდოშვილის შესახებ მონოგრაფიაზე ვმუშაობდი და ექვთიმემ მომცა განმარტება ჩემთვის ზოგიერთი საყურადღებო საკითხის გარკვევა- დაზუსტებისათვის.

იმ პერიოდში ექვთიმეს წესრიგში მოჰყავდა თავისი პირადი საარქივო ფონდი, იმავე დროს გამალებით წერდა მოგონებებს ქართველ მწერლებზე და მოღვაწეებზე. ჩემი ყურადღება მიიპყრო მანქანაზე გადაბეჭდილმა — „ივანე ჯავახიშვილი, მისი ღვაწლი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში (მოგონების სახით), რომელიც მაგიდაზე ედო.

სტუდენტობიდანვე ჩემში იმდენად დიდი იყო სიყვარული ივანე ჯავახიშვილისა, რომ ჩემდა უნებლიეთ, დაუკითხავად მაშინვე ავიღე ხელში ივანეს შესახებ ეს „მოგონება“ და კითხვა დავიწყე.

ალბათ, ჩემი ასეთი ყურადღების გამო იყო, რომ პატივცემულმა ექვთიმემ მაშინვე მითხრა: რახან ასე დაგაინტერესა, წაიღე ერთი ცალი (რამდენიმე ცალად ჰქონდა გადაბეჭდილი), გქონდეს და წაიკითხეთ. მე სიხარულით წამოვიღე ეს მოგონება, როგორც ძვირფასი საჩუქარი გამოჩენილი ქართველი მეცნიერისაგან.

ვფიქრობთ დიდი ქართველი პატრიოტი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებას „ივანე ჯავახიშვილი, მისი ღვაწლი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში“, რომელიც დღემდე არსად გამოქვეყნებულა, ინტერესით გაეცნობიან გაზეთ „სამშობლოს ხმის“ მკითხველები.

შ. გოზალიშვილი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივი და სამეცნიერო ღვაწლი ქართველი ერისადმი ფასდაუდებელია. მისი ჯეროვნად შეფასება არც ისე ადვილია. ამჟამად მე არა მაქვს საშუალება და შეძლება ვრცლად შევეხო მის ღვაწლსა და დამსახურებას. შევჩერდები მხოლოდ ქართული უნივერსიტეტის დაარსების ისტორიაზე.

იშვიათია კაცი, რომელსაც რაიმე ნაკლი არა ჰქონდეს, თუნდ სულ მცირე. ივანე ჯავახიშვილში სანთლით რომ გეძებათ, ვერავითარ ნაკლს ვერ აღმოაჩენდით. ის სრული, უნაკლო ადამიანი იყო: ზნეობით სპეტაკი, ზრდილი, ალერსიანი, თავმდაბალი, კაცთმოყვარე და გულშემატკივარი, ერთ უკადრის სიტყვას მისგან ვერ გაიგონებდით. ის შვილი იყო ქართველი ინტელიგენტი ოჯახისა, რომელიც განსჭვალული იყო ქართული პატრიოტიზმით და საქართველოს კეთილდღეობისათვის ზრუნვით. ივანე დაჯილდოებული იყო ბუნებისაგან დიდი ნიჭით, რის გამო მან ჯერ კიდევ გიმნაზიაში და შემდეგ უნივერსიტეტში ადვილად შეითვისა ძველი და ახალი ევროპული და აზიური ენები. ამან მას მისცა საშუალება გასცნობოდა ამ ერების კულტურას და მათი მიღწევები შეედარებინა ქართული კულტურისათვის. ნიჭი მეცნიერული კვლევა-ძიებისა ივანემ სტუდენტობაშივე გამოიჩინა და მიიღო ოქროს მედალი.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1901 წელს ივანე ჯავახიშვილმა მიიღო ქართული ენის მაგისტრის ხარისხი. 1902 წელს ის ნიკო მართან ერთად გაემგზავრა სინას მთაზე ქართული ხელნაწერების აღსაწერად. ამან მისცა საშუალება ივანე ჯავახიშვილს გავარჯიშებულიყო ძველი ქართული ხელნაწერების კითხვაში.

1903 წლიდან მან დაიწყო ლექციების კითხვა, როგორც პრივატ-დოცენტმა. ამავე დროს ივანე ჯავახიშვილი დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას იჩენდა უნივერსიტეტის გარეშე. მის ლექციებს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ესწრებოდა მრავალი ქართველი სტუდენტი პეტერბურგის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილის სამოღვაწეო ასპარეზი საქართველო იყო. მისი პეტერბურგის უნივერსიტეტში დარჩენის საკითხი თითქმის მოიხსნა. ამიტომ მე მივმართე ივანე ჯავახიშვილს ვრცელი წერილით და წინადადება მივეცი გადმოსულიყო თბილისში, მიეღო თავმჯდომარეობა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და ამ საზოგადოების სახელით დაეწყო ლექციების კითხვა. აქვე გამოვთქვი განზრახვა მე დროებით წავსულიყავი საზღვარგარეთ, თანაც ვწერდი, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ახლა შეუძლია იგი მატერიალურად უზრუნველყოს. ივანემ მაცნობა, რომ ჩემი წინადადების შესახებ პირადად მომელაპარაკებოდა თვითონ, როდესაც თბილისში ჩამოვიდოდა, რადგანაც ეს მისთვის რთული საკითხი იყო და წერილობით ყველაფერს ვერ ამოწურავდა.

ეს ჩემი წინადადება გამოწვეული იყო იმ დიდი სიყვარულით და თანაგრძნობით, რომელსაც იჩენდა ივანე ჯავახიშვილი ჩვენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისადმი, ყოველი ჩვენი საყურადღებო ძეგლის აღმოჩენა და შეძენა მისთვის ნეტარება იყო. ივანე ყოველთვის ესწრებოდა საზოგადოების კრებებს, როდესაც თბილისში იყო, კითხულობდა რეფერატებს და საჯარო ლექციებს და ყველაფერში ხელს გვიწყობდა. მისი თბილისში გადმოსახლება და სისტემატური ლექციების კითხვა ჩვენს საზოგადოებას ერთგვარ სახალხო უნივერსიტეტის ხასიათს მისცემდა.

ამის შემდეგ, როდესაც ივ. ჯავახიშვილი თბილისში ჩამოვიდა, დაწვრილებით მოვილაპარაკეთ ჩემი წინადადების შესახებ. პრინციპულად ის ყველაფერში დამთანხმდა, მაგრამ ერთი გარემოება წარმოადგინა, რომელიც მას დიდად აბრკოლებდა: თბილისში ვერ იშოვნიდა ყველა სამეცნიერო წიგნსა და ლიტერატურას, რაც მისი კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი იყო. მე ვუთხარი, რომ მას დროგამოშვებით მიეცემოდა საშუალება პეტერბურგში მივლინებისა და ამას გარდა ჩვენ შევეცდებოდით, რომ მისთვის საჭირო ახალი სამეცნიერო წიგნები გამოგვეწერა, რაც კი სადმე გამოჩნდებოდა და ძველი გამოცემების გამონახვა და შეძენა საზღვარგარეთ მიგვენდო ჩვენი მეცნიერებისათვის. ყველა ამაზე თანხმობა განაცხადა, მხოლოდ კატეგორიული უარი თქვა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეობის მიღებაზე. თავმჯდომარედ თქვენ უნდა დარჩეთო.

მას შემდეგ ის შეუდგა მზადებას თბილისში გადმოსახლებისათვის. როდესაც რევოლუცია გაძლიერდა, ცარიზმი იძულებული გახდა გამოეცა კანონი, რომლის მიხედვით რუსეთის იმპერიაში შესაძლო იყო დაარსებულიყო კერძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლები არა რუსულ ენაზე. ახლა პირდაპირ დაისვა საკითხი ქართული კერძო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ თბილისში და ივანეც ამის მზადებას შეუდგა.

ივანე ჯავახიშვილმა მალე ამის შემდეგ მოიწვია უნივერსიტეტის გახსნის საინიციატივო ჯგუფი. მაისის პირველ რიცხვებში 1917 წელს ივანე ჯავახიშვილი გადმოვიდა თბილისში და თან მოიტანა უკვე დამზადებული წესდება ქართული კერძო უნივერსიტეტისა. მოვიდა ჩემთან, ყველაფერი დაწვრილებით გამაცნო და მთხოვა მონაწილეობა მიმეღო ამ უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

აქვე გადავწყვიტეთ 12 მაისისათვის მოგვეწვია კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენლების დიდი კრება, რომელიც თავის თავს გამოაცხადებდა უნივერსიტეტის გახსნის დამფუძნებელ კრებად და უნივერსიტეტის გახსნის სამზადისს შეუდგებოდა. მართლაც, შედგა ასეთი კრება 12 მაისს. ამ კრების თავმჯდომარეობა ივანემ არასგზით არ იკისრა, მე მომხსენებელი ვარ და თავმჯდომარედ უსათუოდ შენ უნდა იყოო, — მითხრა.

კრებას ბევრი ხალხი დაესწრო. ყველა დიდი სიხარულით და აღტაცებით შეხვდა ამ საქმეს. დავიწყეთ ბჭობა. ამ დროს გაიღო კარი და შემოვიდა ჩვენი მხცოვანი და დიდად დამსახურებული მეცნიერი ქიმიის პროფესორი პეტრე მელიქიშვილი. ის მე პირველად ვნახე და გავიცანი ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან. რასაკვირველია, მაშინვე წინადადება მივეცი კრებას, რომ პროფესორი პ. მელიქიშვილი აერჩიათ საპატიო თავმჯდომარედ. კრება ტაშის კვრით შეხვდა ამ წინადადებას. პეტრე მოვიდა და დაჯდა ჩემთან, მაგრამ კრების ხელმძღვანელობა არ ისურვა და მთხოვა მე გამეგრძელებინა.

ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა ვრცელი მოხსენება და წაიკითხა მის მიერ შედგენილი მომავალი უნივერსიტეტის წესდება. კრებამ ერთხმად გადაწყვიტა დაარსებულიყო უნივერსიტეტის საზოგადოება და მისი წესდების შედგენა მიანდო ივანე ჯავახიშვილს, ხოლო თავისი თავი კრებამ უნივერსიტეტის დაარსების დამფუძნებელ კრებად გამოაცხადა და ამასთანავე გადაწყვიტა უნივერსიტეტი გახსნილიყო 1918 წლის დასაწყისში.

1917 წლის 22 ივნისის კრებაზე დამტკიცდა ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოების წესდება.

ამ საზოგადოებამ გამოჰყო ორი კომისია, აკადემიური და ფინანსიური. ფინანსიურს დაევალა ლონისძიების გამონახვა უნივერსიტეტის შესანახად,

თბილისის მარკით

თბილისში, საბურთალოს რაიონში დაიწყო სამართი გამოსათვლელი მანქანების ქარხნის მშენებლობა. აი რა აცნობა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს ამის შესახებ თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა:

მომავლისათვის გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ელექტრონულ - გამოსათვლელი და სამართი მანქანების წარმოება. თანამედროვე გამოსათვლელი და სამართი მანქანების გამოყენებას მოჰყვება ნამდვილი რევოლუცია არა მარტო წარმოების ტექნოლოგიაში, არამედ ეკონომიკაში, დაგეგმვაში, აღრიცხვაში, საპროექტო-საკონსტრუქტორო დამუშავებებსა და აგრეთვე თვით მეცნიერულ კვლევაში.

ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებათა დამუშავების მძლავრი სამეცნიერო ბაზა. ამ ტექნიკაზე მუშაობს რამდენიმე ინსტიტუტი. ამ საქმეში დიდი წვლილი შეაქვს მათემატიკოსთა ქართული სკოლის ნაყოფიერ კვლევას. რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადეს და ამზადებენ ავტომატიკისა და ელექტრონიკის ბევრ სპეციალისტს. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არის ავტომატიკისა და გამოსათვლელი ტექნიკის სპეციალური ფაკულტეტი. კადრებს ამ დარგში მუშაობისათვის ამზადებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც.

შექმნილია ნაყოფიერი პირობები ელექტრონული მოწყობილობებისა და აპარატურის, სამართი და გამოსათვლელი მანქანების სერიული წარმოებისათვის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოსაყენებლად. ახალი ქარხანა მწყობრში უნდა ჩადგეს 1968 წელს. საწარმოში ხარისხისა და ტექნოლოგიის სრულყოფისადმი კონტროლის გასაწევად შეიქმნება 10-ზე მეტი საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ლაბორატორია.

მომავალი პროდუქციის პირველი ნიმუშები უკვე მომზადებულია ან ამზადებენ თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საცდელ ქარხანაში. ეს არის სამართი გამოსათვლელი მანქანები ბოვის მუშაობის კომპლექსური ავტომატიზაციისათვის, მოწყობილობა ცემენტის წარმოების მართვის ავტომატიზაციისათვის, რკალური ფეროშენადნობის ღუმელის ელექტრორეჟიმის რეგულირებისათვის, ინფორმაციის ჩაწერისათვის და სხვ.

ამ ბოლო დროს ინსტიტუტი ლოკალური საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის ცალკეული ხელსაწყოებისა და მოწყობილობის შექმნის ნაცვლად თანდათან იწყებს სამართი მანქანებისა და კომპლექსების დამუშავებას მთელი საწარმოებისა და მრეწველობის ისეთი დარგების ავტომატიზაციის სისტემი-

მამულიშვილი

ივანე ჯავახიშვილი, მისი ღვაწლი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში

ბოლო აკადემიურს — ზრუნვა მეცნიერული ორგანიზაციისათვის. ამ კომისიაში შევიდნენ: პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ი. ყიფშიძე, შ. ნუცუბიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ა. რაზმაძე. აკადემიურ კომისიას სხვადასხვა დროს 9 სხდომა ჰქონდა.

1917 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ ივ. ჯავახიშვილი (თავმჯდომარე), ექ. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე და დ. უზნაძე, გადაწყდა დაარსებულიყო ჯერ-ხანად ერთი ფაკულტეტი — სიბრძნისმეტყველებისა ანუ ფილოსოფიური, რომელსაც შემდეგი წლიდან მიემატებოდა სხვა ფაკულტეტები.

1918 წლის 13 იანვარს შედგა უნივერსიტეტის პროფესორთა პირველი სხდომა და თათბირი გვჭონდა, თუ ვინ უნდა აგვერჩია რექტორად, დეკანად და მდივნად. ჩვენ გვინდოდა რექტორად ყოფილიყო ივანე ჯავახიშვილი, მაგრამ მან უარი თქვა და წამოაყენა პროფესორ პეტრე მელიქიშვილის კანდიდატურა. ივანე ამბობდა — „პეტრე მელიქიშვილი დიდად ცნობილი მეცნიერია როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტსაო“.

ი. ჯავახიშვილის წინადადების თანახმად პეტრე მელიქიშვილი არჩეულ იქნა რექტორად. დეკანად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი და მდივნად — იოსებ ყიფშიძე. ფაქტიური რექტორი მაინც ივანე ჯავახიშვილი იყო, რომლის დაუკითხავად რაიმე მნიშვნელოვან საქმეს პ. მელიქიშვილი არ გადაწყვეტდა.

ამის შემდეგ 26 იანვარს 1918 წელს (ძველი სტილით) უამრავი ხალხის დასწრებით და დიდი ზეიმით გაიხსნა პირველი ქართული კერძო უნივერსიტეტი, რომელშიც თავი მოიყარეს რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების ქართველმა პროფესორებმა.

1918 წლის 3 სექტემბერს თბილისის ქართული კერძო უნივერსიტეტი გამოცხადებულ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტად. მაგრამ მენშევიკური მთავრობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ჩვენს უნივერსიტეტს. უნივერსიტეტი ბევრ დაბრკოლებას განიცდიდა. მიუხედავად ამისა პროფესორთა დაუღალავი მეცადინეობით მწყობრად და ჯეროვნად მიდიოდა ლექციების კითხვა...

ასე დაარსდა ქართული უნივერსიტეტი. ამჟამად აღარა გვყავს მისი დაარსების მეთაური ივანე ჯავახიშვილი, ეს უებარი ადამიანი, პირველხარისხოვანი საზოგადო მოღვაწე. ბუმბერაზი მეცნიერი, ფუძემდებელი ქართული სიბრძნისმეტყველების ყველა დარგის ისტორიისა. მის მიერ დატოვებული მეცნიერული მემკვიდრეობა ქვაკუთხედია, რომელზეც ფართოდ და ასე დიდი წარმატებით შენდება დღეს ყველა დარგი ქართული მეცნიერებისა. ეს მშენებლები უმეტეს შემთხვევაში ივანეს მიერ გაწაფული პროფესორებია, ან ამ პროფესორების შეგირდები. ივანე ჯავახიშვილი უდროოდ მოშორდა საქართველოს მეცნიერებას, მაგრამ მისი ღვაწლი და სახელი ცოცხალია და ცოცხალი დარჩება.



ივანე ჯავახიშვილი

მოწოდება — ხალხური შემოქმედება

ანდრია ბალანჩივაძემ დაწერა მუსიკა და თავის მეგობარს გიორგი გრიგოლიშვილს სთხოვა სიმღერისათვის ტექსტი დაეწერა. ცოტა ხნის შემდეგ „ჰოპუნას“ უკვე მთელ საქართველოში მღეროდნენ. ეს იყო 35 წლის წინათ. მაშინ ა. ბალანჩივაძე მუშა ახალგაზრდობის თეატრის მუსიკალური განყოფილების გამგედ მუშაობდა; გ. გრიგოლიშვილი კი ამ თეატრის რეჟისორ-ლაბორანტად. თეატრს ხელმძღვანელობდა ამჟამად ცნობილი კინორეჟისორი შ. მანაგაძე.

ეს იყო გიორგი გრიგოლიშვილის პირველი წარმატება. მას შემდეგ გიორგიმ ათობით სიმღერის ტექსტი დაუწერა ქართველ კომპოზიტორებს.

გ. გრიგოლიშვილმა ცხოვრების რთული და საინტერესო გზა განვლო. სოფლის მასწავლებელი, მუშა ახალგაზრდობის თეატრის მსახიობი, ფილმ „არსენას“ ადმინისტრატორი, სახელმწიფო ანსამბლის მომღერალი, რომელსაც ს. კავსაძე და გ. კოკელაძე ხელმძღვანელობდნენ, — აი მისი პროფესიები ახალგაზრდობის წლებში, სანამ იგი საბოლოოდ ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლში დაიწყებდა მუშაობას. პირველი დღეებიდანვე იგი მთელ თავის ძალებს ახმარს ახალ სამუშაოს: სწავლობს ქართული ხალხური შემოქმედების წყაროებს. იგი ბევრი ნიჭიერი ადამიანის მეგობარი და მრჩეველი გახდა, რომლებმაც თავიანთი ძალები ხელოვნებაში მოსინჯეს.

გიორგი გრიგოლიშვილს კარგად იცნობენ სვანეთსა და ხევსურეთში, კახეთსა და აფხაზეთში, აჭარასა და გურიაში... მან თავი გამოიჩინა როგორც თვითმოქმედი კოლექტივების რესპუბლიკური ოლიმპიადების, დათვალიერებებისა და კონკურსების ნიჭიერმა ორგანიზატორმა. ახლა იგი აქტიურად მონაწილეობს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური კოლექტივების მომზადებაში ღირსშესანიშნავი თარიღისათვის — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის.

ისტორიის ფურცლები

ქართველი ხალხი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ხალხია. მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორიის მანძილზე ქართველმა ხალხმა, უცხოელ დამპყრობთა განუწყვეტელი შემოსევების მიუხედავად შეინარჩუნა მდიდარი მრავალფეროვანი კულტურა, განვითარებული სახელმწიფოებრიობა.

დიდია წიგნის „საქართველოს ისტორიის ფურცლების“ მნიშვნელობა. წიგნი მოამზადა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა თბილისის საბჭოთა არმიის ოფიცერთა საოლქო სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების მონაწილეობით. წიგნი შეიცავს უმნიშვნელოვანეს ცნობებს საქართველოს შესახებ უძველესი დროიდან დღემდე.

ქართველ ისტორიკოსთა სტატიების კრებული, რომლებიც მოგვითხრობს ქართველი ხალხის წარსულსა და აწმყოზე, მეცნიერულ-პოპულარული გამოცემაა და გათვალისწინებულია საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის. სტატიების ავტორები ეყრდნობიან თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებს. მასალა გადმოცემულია მარტივი და გასაგები ფორმით.

კრებულში დაბეჭდილია სტატიები: „ქართველი ხალხის ისტორია უძველესი დროიდან მონათმფლობელური ფორმაციის დასასრულამდე“, „საქართველო ფეოდალიზმის ეპოქაში“, „საქართველო XIX საუკუნეში“, „ძველი ხალხის ახალი, სოციალისტური კულტურა“, „ქართველი ხალხი გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში“, „ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა“ და სხვ.

აქ შენ ცხოვრობდი

დაბის კეთილმოწყობა

მშენდება და კეთილმოწყობილი ხდება რაიონული ცენტრი — დაბა ხობი. აქ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე მოასფალტდა ქუჩები. მათ გასწვრივ დაირგო ასობით ძირი წიწვიანი და ფოთლოვანი მცენარე; გაშენდა ტყე-პარკი, გაკეთდა გაზონები. დაიდგა ლამპიონები.

დაბის საწარმო-დაწესებულებების ანსამბლებს შეემატა კაფე რესტორანი, საზაფხულო პავილიონი, ავტოსადგური და სხვა ნაგებობანი. საავადმყოფოს მიუშენდა 8 ახალი ოთახი.

სოფელ ხეთაში

ხეთა ერთ-ერთი დიდი სოფელია რაიონში. მის ცენტრს ამშვენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, ახლად აგებული საშუალო სკოლის, სასოფლო საბჭოს, კლუბ-კანტორის, ფოსტის და სხვა შენობები. აღნიშნულ საზოგადოებრივ ნაგებობებს წელს შეემატა სასურსათო მაღაზია, პურის საცხობი, ბიბლიოთეკა.

შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ ხეთელი კოლმეურნეები. უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე 40-ზე მეტმა კოლმეურნემ აიშენა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ამჟამად აქ 50-ზე მეტი კოლმეურნე იშენებს სახლს.

სათვის, როგორიცაა, მაგალითად, ცემენტის, აგლომერატის, ფეროშენადნობების, კაპროლაქტამის, მურის, სალტეების, შაქრისა და სხვათა წარმოება. ავტომატიზაციის ახალი მოწყობილობის შექმნისა და გამოშვების დროს პირველ პლანზეა წამოყენებული ეკონომიური ეფექტიანობის, კაპიტალური დაბანდების უსწრაფესი ამოგების მოთხოვნა.

რესპუბლიკაში ელექტრონული მანქანების ქარხნის შექმნა უეჭველია დიდი ნაბიჯი იქნება ტექნიკური პროგრესის განვითარების გზაზე, მნიშვნელოვნად გააფართოებს გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობებს აქტუალური სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად. ამასთან საჭირო გახდება გაფართოვდეს თეორიული კვლევა ავტომატური მართვის ოპტიმალური სისტემების დამუშავების დარგში, იმ მანქანების მომზადების დარგში, რომლებშიც შეხამებულია ანალოგიური მანქანების (უწყვეტი მოქმედების) სისწრაფე და ციფრული გამოსათვლელი მანქანების სიზუსტე.

სიმღერის ძალა



რევაზ ლაღიძის შემოქმედება, მისი მუსიკა ლამაზი და მომხიბვლელია გულღია, კეთილი, ადამიანური სილამაზით.

პოპულარობა, მასობრიობა ლაღიძისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. მისი სიმღერები „ელვის სისწრაფით“ და სიყვარულით რომ არ ვრცელდებოდეს, თვით კომპოზიტორი ჩათვლიდა ამას სრულ შემოქმედებით ჩავარდნად.

ამგვარად აზროვნება და წერა ძალუძს მხოლოდ იმას, ვისაც მგზნებარედ უყვარს ცხოვრება, ადამიანი, ვისაც შეუძლია დაინახოს სინათლე, სიხარული, ვისაც ძალა შესწევს შეიცნოს ცხოვრების სილამაზე.

რ. ლაღიძის სიმღერები ძალუმად შეესისხლხორცა თვითეულ ჩვენგანს. ზოგჯერ გვგონია, თითქოს ისინი მუდამ არსებობდნენ.

შესაძლოა საკამათო იყოს კომპოზიტორის შემოქმედებითი მიდრეკილებანი, ან კიდევ მისი ზოგიერთი ნაწარმოების მხატვრული დონე, მაგრამ აშკარა და უდავოა მისი დიდი, ნათელი თვითმყოფი ნიჭი, ნიჭი, რომელიც აისახა ყველაზე სახალხო, მსმენელისათვის ყველაზე ახლობელ ჟანრში — სიმღერაში.

სიმღერა რევაზ ლაღიძის სტიქიაა. ეს არის არა შემოქმედების ჟანრობრივი შეზღუდულობა, არამედ შემოქმედებითი მიდრეკილება. რ. ლაღიძის სიმღერებს შესანიშნავად უდგება ცნობილი გამოთქმა, რომ „მცირე“ ფორმა სრულიად არ ნიშნავს მცირე შინაარსს. სიმღერა ქართულ საბჭოთა პროფესიულ მუსიკაში ყოველთვის იყო ერთერთი მნიშვნელოვანი ჟანრი. მაგრამ, ალბათ, ქართული მუსიკის განვითარების არც ერთ ეტაპზე არ იყო იგი ისე პოპულარული, როგორც ახლა. ამაში თავისი ისტორიული კანონზომიერებაა. ჩვენი ცხოვრების სწრაფი ტემპი, თანამედროვეობის მაჯისცემა, უდიდესი ძვრები, რომელთა მოწმენი ვართ, ყოველ ნაბიჯზე ავითარებენ ამ მასობრივ, უაღრესად ქმედით, მოქნილ ჟანრს.

რევაზ ლაღიძე იმ შემოქმედთა ბედნიერ რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც თავიდანვე, პირველი შემოქმედებითი ნაბიჯიდანვე „იპოვნეს თავისი თავი“ ხელოვნებაში. მას არ დასჭირვებია „შემოქმედებითი ეჭვიანობისა და ცდომილების“ ეკლიანი გზის გავლა. მისი სტილი მაშინვე გამოიკვეთა.

წერის მკაფიო, ინდივიდუალური მანერა, სახოვანი აზროვნება, კეთილშობილური გემოვნება და მთავარი სფერო აზროვნების და შემოქმედებითი მიდრეკილებისა — პოეტური, გულწრფელი ლირიკის სფერო — ყველა ამ თვისებამ მიანიჭა რ. ლაღიძეს თვითმყოფადობა. მით უფრო, რომ ახალგაზრდა კომპოზიტორის შემდგომი შემოქმედებითი ფორმირება აღმოჩნდა უაღრესად მიზანსწრაფული. კამერულ-ვოკალური მუსიკა, რომანსი, სიმღერა იქცა მისთვის შემოქმედების წამყვან სტიქიად.

რომანსმა, სიმღერამ დაიპყრო მისი ყველაზე სანუკვარი შემოქმედებითი აზრები და აქცია ლაღიძე ამ ჟანრის აღიარებულ ოსტატად. რ. ლაღიძის სიმღერები იმდენად თვითმყოფადია, მათში იმდენია თავისი, ტიპიური „ლაღიძისებური“, რომ შეუძლებელია არც იცნოთ ისინი უმალვე, პირველი ბგერებიდანვე. ეს კი მხოლოდ ჭეშმარიტად ნიჭიერ ხელოვანთა ხვედრია.

ლაღიძის სიმღერების პოპულარობა, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს მათი მაღალი მხატვრული ღირსებებიდან. ეს არ არის იაფი, მოდური „ერთდღიანი“ პოპულარობა. მისი ნაწარმოებები არ მიეკუთვნება იმათ რიცხვს, რომლებზეც დრო მკაცრად იძიებს შურს მათი გარეგნულად ეფექტური, მაგრამ უიდეო სილამაზისათვის. მისი სიმღერები არ დაფრინავენ უდარდელად, ისინი ღრმად იჭრებიან ჩვენს ყოფაცხოვრებაში, ამდიდრებენ და ალამაზებენ მას.

პოეტის კალმისაგან გამოსულნი უკვე აღარ არიან მათი ავტორის კუთვნილება და მთლიანად ხალხს ეკუთვნიან. „სიმღერას თბილისზე“, რომელიც ყღერს მსოფლიოს ყველა კუთხეში, მრავალ ენაზე, ბევრად უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე მოელის, ვიდრე მის ავტორს, და დროს ვერ შესწევს ძალა შეასუსტოს მისი პირველქმნილი სიტურფე, თვითმყოფადობა და თანამედროვე ყღერადობა.

ამ შემოქმედის მუსიკის პოპულარობა, მასობრიობა როდი აიხსნება მხოლოდ მათი მელოდიური სილამაზით, ან კიდევ მუსიკალური ენის სისადავით. ამის „საიდუმლოება“ გაცილებით უფრო ღრმაა. უწინარეს ყოვლისა ეს არის ნაწარმოებების მაღალი ჰუმანურობა. რაც უნდა მრავალფეროვანი იყოს სიმღერების თემატიკა, რაც უნდა მრავალნაირი იყოს განწყობილება, ყველა მათგანს ერთი რამ მაინც აქვს საერთო — ნათელი, ხალისიანი მსოფლშეგრძნება, რაც გამომდინარეობს ადამიანებისადმი, ცხოვრებისადმი დიდი სიყვარულიდან.

რევაზ ლაღიძე ღრმად თანამედროვე ხელოვანია, თანამედროვე არა თავისი ნაწარმოებების თემატიკით, ან გამომსახველი საშუალებებით, არამედ თავისი აზროვნებით, ცხოვრების შეგრძნებით. მაგრამ თანამედროვეობას ლაღიძე თავისებურად აღიქვამს, — ემოციათა ლირიკული სფეროთი, რადგანაც თვითონ, როგორც შემოქმედი, ლირიკოსია. მისი ლირიკა გამსჭვალულია მაღალი შთაგონებით, უაღრესად წმინდა და კდემამოსილია, ამიტომაც ასე ახლებურად, ასეთი განუმეორებელი სურნელებით ასახა კომპოზიტორმა სიყვარულის მარადიული თემა.

ლირიკული საწყისი გაბატონდა ლაღიძის კამერულ-ვოკალურ მუსიკაში პირველი შემოქმედებითი ნაბიჯებიდანვე. პირველ ნიმუშებშივე ლირიკა იყო ნათელი, წმინდა, ამაღლებული.

შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე გამომჟღავნდა კიდევ ერთი თვისება, რომელიც შემდგომ ტიპიური გახდა — ქართველი საბჭოთა პოეტების მხატვრული სახეების გამოყენება.

ადრევე გამომჟღავნდა თავისებური დამოკიდებულება პოეტური ტექსტისადმი, რომელიც შემდგომ შემოქმედებით პრინციპად იქცა. რაც უნდა ღრმად სწვდებოდეს კომპოზიტორი ტექსტის სპეციფიურობას, მის სიმღერებში და რომანსებში ბატონობს ვოკალური კანტილენა. სწორედ ბუნებრივი და უშუალო მელოდიის საშუალებით, ადამიანის ხმის სითბოთი და გამომსახველობით ჰკვეთს კომპოზიტორი მთავარ მხატვრულ სახეებს, ემოციებს. ჰეშმარიტი მელოდისტის შინაგანი შეგრძნება უკარნახებს მას მსმენელთან დაახლოების ერთდაერთ გზას.

ერთ-ერთ თავის ადრინდელ საუკეთესო რომანსშიც კი („მაგონდება ჩუქურთმაში ყვავილი“, გ. ლეონიძის ტექსტზე), სადაც კომპოზიტორი აღწევს მუსიკალური და პოეტური სახეების სრულ შერწყმას, შინაარსი, განწყობილება გადმოცემულია უაღრესად პოეტური მუსიკით, პლასტიკური, გამომსახველი მელოდიით.

შემდგომ ლაღიძე არა თუ არ ღალატობს თავის თავს, კიდევ უფრო აღრმავებს თავის შემოქმედებით პრინციპს. მელოდიური სიუხვე, სისადავე ხდება მთავარი კრიტერიუმი ნაწარმოების მხატვრულობისა.

ვოკალური აზროვნება, სიმღერა, როგორც მთავარი საშუალება წარმოსახვისა, იჭრება მის ინსტრუმენტულ ნაწარმოებებშიც კი. ახლახან დაწერილ, მუსიკით მეტად სახოვან, საკვარტეტო მინიატიურაში, სადაც კომპოზიტორი ამჟღავნებს ამდენ შემოქმედებით ფანტაზიას, მთავარი თემა „ლაღიძისებური“ მელოდიის ტიპიური ნიმუშია — პლასტიკური, სადა, ფართო სუნთქვისა. ასეთი მაგალითი ხშირია ლაღიძის შემოქმედებაში, როდესაც ინსტრუმენტულ მუსიკას ვოკალური კანტილენის გამომსახველობა და მღერადობა ენიჭება.

კომპოზიტორისა და პოეტის შემოქმედებითი ურთიერთობა — უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ესოდენ მასობრივი ჟანრის განვითარებისათვის, როგორიც არის სასიმღერო ჟანრი. მით უფრო მნიშვნელოვანია ეს პრობლემა რ. ლაღიძისათვის, ამ ჟანრის აღიარებული ოსტატისათვის, მაღალი გემოვნების ხელოვანისათვის.

მისი სიმღერების პოპულარობის „საიდუმლოებას“ რომ ვუბრუნდები, მინდა განსაკუთრებით გამოვყო ლაღიძის მუსიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება — ფაქიზი, დახვეწილი გემოვნება, რომელსაც ძალა შესწევს გააკეთილშობილოს სრულიად გამოუცდელი მსმენელიც კი.

ყოველგვარი მელოდრამატულობისა და სანტიმენტალურობის გამოუყენებლად ლაღიძე უბრალოდ, უშუალოდ, გულწრფელად უმღერის ჩვეულებრივ ადამიანურ გრძნობებს, წარმოსახავს დღევანდელი დღის ადამიანის სულიერ სამყაროს.

სიმღერებში, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ესტრადასთან, კომპოზიტორი ადვილად იცილებს თავიდან თანამედროვე საესტრადო რეპერტუარის ფსევდო-მოდურ გავლენებს თავისი თვითმყოფი ნიჭის, მაღალი გემოვნების, მკაფიო ეროვნული სახის წყალობით. რაზეც არ უნდა მღეროდეს იგი, მუდამ უბრალოა, გულღიაა, და რაც მთავარია — ძალიან ახლობელი, მშობლიური. მის თვითეულ სიმღერას თავისი საკუთარი სახე, თავისი ხასიათი, თავისი ინდივიდუალური თვისებები აქვს და, რაღა თქმა უნდა, თავისი ბედი. მაგრამ ყველა მათგანი ქართული სიმღერაა, მათში ქართველის სული და გული.

რევაზ ლაღიძის სიმღერების ემოციური ზემოქმედებითი ძალა მათ მკაფიო ეროვნულ ხასიათში იმალება. ლაღიძისათვის მეტად მნიშვნელოვანი გახდა ტრადიციების მემკვიდრეობის პრობლემა. თავის ვოკალურ ნაწარმოებებში მან განავითარა ქართული რომანსისა და ქალაქური ლირიკული სიმღერების ტრადიციები, როგორც კლასიკური, ისე ადრინდელი პერიოდისა. ამით მან შეუნარჩუნა ძველი დროიდანვე საყვარელ ჟანრს თავისი თვითმყოფი, ეროვნული სახე.

მრავალფეროვანია ლაღიძის სიმღერების ინტონაციური სამყარო: გლეხური მუსიკალური ფოლკლორი მისი თავისებური რიტმული მხარითა და კილოებით, ქალაქური სიმღერა, მისთვის დამახასიათებელი ემოციური აღგზნებით, საბჭოთა მასობრივი სიმღერების ინტონაციებ.

მრავალფეროვანია კომპოზიტორის თემატიკა, რამაც გამოიწვია სასიმღერო ჟანრის მრავალნაირობა (ლირიკული და პატრიოტული, კომიკური და ჰეროიკული), მაგრამ ლირიკული განწყობილება მაინც მუდამ ბატონობს მის მუსიკაში, მისთვის საყვარელია ლირიკული მინიატიურის ფორმა.

ისევე, როგორც ბევრმა ქართველმა კომპოზიტორმა, რ. ლაღიძემ უკანასკნელ პერიოდში მჭიდროდ დაუკავშირა თავისი შემოქმედებითი ბედი კინოს. რ. ლაღიძე, რომელიც ყოველთვის ადამიანებთან სიახლოვისაკენ ისწრაფოდა, განსაკუთრებით მოხიბლა კინომ. ამ კომპოზიტორის ბევრი პოპულარული სიმღერა „ჩამოვიდა“ კინოეკრანიდან მსმენელთან.

ბევრი ცნობილი ქართველი კომპოზიტორის მოსვლამ კინოში განსაკუთრებით განავითარა კინომუსიკის ჟანრი და აიყვანა ის მაღალიდეური და მხატვრულ დონეზე.

რ. ლაღიძისათვის მუსიკას კინოში მნიშვნელოვანი დრამატული როლი ენიჭება — იგი ხდება მატარებელი ფილმის მთავარი იდეური შინაარსისა. გვერდს რომ უვლის ცალკეული სცენების სტუაციებს ან ეპიზოდების ილუსტრირების იოლ გზას, კომპოზიტორი მსჭვალავს კინომუსიკას დაძაბულობით, დინამიურობით, ანიჭებს მას მნიშვნელოვან დრამატურგიულ ფუნქციას.

ჯერ კიდევ ადრინდელ ფილმებში დასახული ეს გზა განსაკუთრებით გარდამავდა კომპოზიტორის ბოლო ნამუშევარში — ფილმში „ხევისბერი გოჩა“. შემოქმედების ადრინდელ პერიოდში მთელი რიგი თვითმყოფი რომანსებისა და სიმღერების გვერდით ვხვდებით რომანსს, რომელიც გამოირჩეოდა მუსიკალური ენის ორიგინალურობით. ეს გახლდათ რომანსი „ჩივილო“ ა. ყაზბეგის ტექსტის მიხედვით. ამ რომანსმა მიიპყრო ყურადღება მთიელების მუსიკალური ფოლკლორის დამახასიათებელ თვისებებში კომპოზიტორის ფაქიზი ჩაწვდომით.

„ხევისბერი გოჩას“ მუსიკაში ლაღიძე კვლავ უბრუნდება ამ გზას, მაგრამ როგორც მომწიფებული ოსტატი. რა ფაქიზად არის წარმოსახული ამ ფილმის მუსიკაში ყაზბეგის დრამატული მოთხრობის საერთო განწყობილება და განუმეორებელი სურნელება!

რევაზ ლაღიძემ პოპულარობის იმ დონეს მიაღწია, როდესაც ხალხი მოუთმენლად ელის მისგან ახალ ქმნილებებს.

მირა ფიჩხაძე,
მუსიკათმცოდნე.

* * *

სურათზე: რევაზ ლაღიძე.

ᲐᲚᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲞᲠᲐᲚᲘᲪᲘᲐ

ᲓᲛᲘᲢᲠᲘ უიფშიძის ნამუშევრები მე პირველად ამ ორი წლის წინ ვნახე, პოეტმა მორის ფოცხიშვილმა გამაცნო იგი და მის სახელოსნოში წამიყვანა.

დიდხანს ვიდექი მოხიბლული ვეება „ხმელ წიფელთან“, რომელიც შექმნილია ვაჟა-ფშაველას მოთხრობის მოტივების მიხედვით. დიდხანს შევცქეროდი ბოროტზე კეთილის გამარჯვების გამომსახველ სიმბოლიზირებულ კომპოზიციას.

რამდენიმე თვის წინათ, მიტოსთან ერთად მწერალ ილია ერენბურგთან მოვხვდი. საუბარი გაიმართა ჰედური ხელოვნების ტრადიციებზე, რომლებიც შორეულ წარსულიდან, ბექა და ბეშქენ ოპიზარებიდან მომდინარეობს; ეს დარგი დღეს ნამდვილ აღმავლობას განიცდის. საქართველოში უკვე მუშაობს მთელი პლეადა ჰედური ხელოვნების ფრიად ნიჭიერი ახალგაზრდა ოსტატებისა.

ილია ერენბურგს აინტერესებდა ჰედური ხელოვნების განვითარების თანამედროვე ტენდენციები. მან შენიშნა, რომ მისი აზრით მონუმენტურობა ამ უძველესი ხელოვნების განვითარების ყველაზე უფრო პერსპექტიული მიმართულებაა ჩვენს დროში.

ჰედურ ხელოვნებას, ფრესკებთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს —იგი არასოდეს არ დაზიანდება ჰაერზე. მასზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენს თოვლი, წვიმა მზე და ქარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ნაჭედობებით შეიძლება არა მარტო შიგნიდა¯ გაფორმდეს საზოგადოებრივი შენობები, არამედ გარედანაც და ამით შეიქმნას ლამაზი, თავისებური ეროვნული ანსამბლები.

მიტო უიფშიძე, როგორც მხატვარი, ყურადღებას იპყრობს ჩანაფიქრისა და მისი ხორცშესხმის პოეტურობით. იგი თავისი ნამუშევრებისათვის სიუჟეტებს ხალხურ ლეგენდებსა და თავისი საყვარელი პოეტის — ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში ეძებს. მაგრამ მიტო ილუსტრატორი როდია. იღებს რა საფუძვლად ლიტერატურულ ნაწარმოებს ან ხალხურ ბალადას, იგი თავისი შთაგონების ძალით თავისებურად გარდაქმნის მათ.

თითბერი და ალუმინი, სპილენძი და ჩვეულებრივი თუნუქი — აი მჭედავის სამუშაო მასალა. თავის უკანასკნელ ნაწარმოებებში მიტომ მიაღწია გამოსახულების უაღრესად დამტეობას. რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით მიტო ჰქმნის ახალ ნაწარმოებებს გენიალური პოემის მოტივებზე.

როცა გასული წლის ნოემბერში მე ხელმეორედ ჩამოვედი თბილისში, მიტომ მკითხა: „ჩამოიტანე ერენბურგის ახალგაზრდობის დროინდელი პორტრეტი“? საქმე იმაშია, რომ უიფშიძემ ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ჰედური ფსიქოლოგიური პორტრეტი. ასეთია მისი ვაჟა, ნიკო ფიროსმანი. მოსკოვში უიფშისას კი მიტომ გადაწყვიტა შექმნას ახალი ნაწარმოებები, რომელთა თემა იქნება ხალხთა და პოეტთა მეგობრობა; კერძოდ, ამ ციკლის ერთ-ერთი ნამუშევარი იქნება „ტიციან ტაბიძე და ილია ერენბურგი“. სწორედ იმისთვის დასჭირდა მას ახალგაზრდა ერენბურგის ფოტოსურათი.

რა შეიძლება კიდევ დავუმატოთ ამ პატარა წერილს მეგობარ მხატვარზე. მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება იმის აღნიშვნა, რომ უიფშიძის ნაწარმოებებმა უმალ მიიქციეს ყურადღება მოსკოვში. მის შემოქმედებაზე ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა წერილები, სადაც აღნიშნული იყო, რომ ქართული ჰედური ხელოვნების აღორძინება ჩვენი კულტურის ერთ-ერთ მეტად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს.

ა. ᲒᲚᲔᲖᲔᲠᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: დ. უიფშიძის ნამუშევრები „დედა“ (მარცხნივ) და „ნიკო ფიროსმანი“.



ᲛᲐᲜᲭᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲗᲐᲨᲘ ᲐᲦᲘᲐᲜ

თვითმავალი შასი მთის ძირას გაჩერდა. 35 გრადუსამდე დაქანების ციცაბო ფერდობი მუშაობის საშუალებას არ აძლევს მანქანებს. მაგრამ დიდმა აღმართმა ხელი ვერ შეუშალა თვითმავალ ჯალამბრიან შასის. დაჰიმული ჯალამბრის მეშვეობით მთაში ფერდობის განივი დამუშავებისათვის აჰყავთ საბრუნი გუთანი, რომლითაც იქმნება ტერასების ვაკისები. სპეციალური მომშანდაკებელი საბოლოოდ ასწორებს ვაკისს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტში შექმნილი საბაგირო წევის იარაღებით მთის ფერდობებზე შეიძლება შვიდ საათში მოვამზადოთ ერთი ჰექტარი ბაღ-ვენახების გასაშენებლად.

ამ ბოლო წლებში საქართველოს მთებში ათასობით ჰექტარზე ჩაის პლანტაცია, ვენახი, ხეხილისა და ციტრუსის ბაღი გაშენდა. ეს შესაძლებელი გახდა სამთო მიწათმოქმედების მანქანათა სისტემის შექმნით.

ლაბორატორიებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში იქმნება მთაგორიან ადგილებში სამუშაოდ განკუთვნილი ახალი ტექნიკა. ამას წინათ წარმატებით ჩაიბარა სახელმწიფო გამოცდა სამთო თვითმავალმა შასიმ, რომელსაც შეუძლია 25 გრადუსამდე დახრილობის ფერდობებზე იმუშაოს. ეს მანქანა განკუთვნილია ჩაის მოვლა-მოყვანის, ერთწლოვანი და მაღალღეროიანი კულტურების მოვლის მექანიზაციისათვის.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სპეციალურმა სახელმწიფო საკონსტრუქტორო ბიურომ შექმნა კიდული თივის ასაღები მანქანების კომპლექსი — სათიბელი, ფარცხი, სათრეველა, ბულულსაზიდი. ახალი მანქანების გამოყენებით მკვეთრად ამაღლდება მთის პირობებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე. შასის კიდული სამთო სათიბელა შვიდ საათში 4 ჰექტარს თიბავს და 30 კაცის შრომას ცვლის.




ლ/ფ 3/64

რევაზ ლალიძე.

სიმღერა თბილისზე

ძვირფასო თანამემამულენო!
დაე კომპოზიტორ რევაზ ლალიძის ამ მომხიბლავმა სიმღერამ ოცნებით ერთხელ კიდევ შემოგატაროთ საქართველოს მჩქეფარე გული — ჩვენი საუვარელი თბილისი. დაე ეს სიმღერა-საგალობელი თქვენი ცხოვრების კეთილი თანამგზავრი გახდეს.
იმედია, თქვენს აზრს შეგვატყობინებთ.



მზის და ვარდების მხარეო...

ჩემს მშობლიურ თბილისს სიყვარულით უწოდებენ მზის და ვარდების მხარეს. მაგრამ ჩვენთან არა მარტო მზე აცხუნებს და ვარდი ხარობს, ახლაც კი, ზამთარში. ეს ჩვენი გულის სითბოც არის, რომელიც აღსავსეა შრომისა და შემოქმედების შთამაგონებელი შედეგების, დიადი პერსპექტივების სიხარულით.

ბოლო რამდენიმე ათწლეულში წარმოუდგენლად შეიცვალა საქართველოს დედაქალაქი და ასევე სწრაფად იცვლება ჩვენს თვალწინ. მამაჩემი ქალაქში ეტლით და ცხენის ტრამვაით დადიოდა, ჩემი შვილი კი გასულ კვირადღეს ვასეირნე მეტროთი, რომელიც წლეულს ჩადგა მწყობრში ქართველი მშენებლების გმირული შრომისა და მოსკოველი, ლენინგრადელი, კიეველი მეტროშენებლების, ჩვენი ქვეყნის ბევრი საწარმოს ძმური დახმარების შედეგად. ბავშვობისას თანატოლებთან ერთად ქალაქის გარეუბნებში ბურთს ვთამაშობდი, ახლა კი ჩვენს ყოფილ „სტადიონზე“ გაშენებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, გაყვანილია ფართო ქუჩები და პროსპექტები, წინათ ზაფხულის პაპანაქებაში ადამიანი მხოლოდ შენობის ჩრდილს თუ შეაფარებდა თავს, ახლა კი ყველგან — პარკები, ბაღები, ხეივნები, ხეთა უსასრულო მწკრივები, დეკორატიული ბუჩქები და ყვავილები ქუჩებში, მთათა კალთების მწვანე სარტყელი; მტკვრის ადრინდელი დაჭაობებული ნაპირები მარტო მოხუცებს თუ ახსოვთ, ჩვენს დღეებში კი ქალაქი თავიდან ბოლომდე შეგიძლიათ გადასეროთ განიერი მაგისტრალით — სანაპიროთი, ამასთან გაიაროთ ახალი ფართო ხიდების, მათ შორის უნიკალური ორიარუსიანის ქვეშ, და ყველგან — მშენებლობა, მშენებლობა!..

ჩემი თბილისი — მზისა და ვარდების, ბედნიერების ქალაქი, თბილისი — ყველა ხელოვანის შთაგონების უშრეტი წყარო!

რევაზ ლალიძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი.

დაგეძებენ, მოგელიან



ვანო (ვანიჩკა) გიგას-ძე გოგიაშვილს, დაბადებულს 1913 წელს, ეძებენ მეუღლე — მარო გოგიაშვილი-ბესტაშვილისა, შვილები — ლილი, ამალია, ნაზო, ნატაშა, მცხოვრებნი სოფელ ზემო ხანდაკში (ბასპის რაიონი).

ვანო გიორგის-ძე ხიზანიშვილს, დაბადებულს 1918 წელს, ახმეტის რაიონის სოფელ ხოდაშენში, ეძებს დედა — ანიკო მაქსიმეს ასული ხიზანიშვილი, მცხოვრები თელავში, დოდაშვილის ქ. № 4.

ზაქარია (შაქრო) მიხეილის-ძე გოდაბრელიძეს, დაბადებულს 1908 წელს, თელავის რაიონის სოფ. ნაფარეულში, ეძებენ შვილები — ვენერა, ზაირა და ბელა გოდაბრელიძეები, მცხოვრებნი თელავში, დოდაშვილის ქ. № 4.

გამოსცემს საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართია:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.